პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი, 19 სექტემბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი მეომარი

№602 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფ. ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩვეულებ. ნომპარელის სტრიქონი

სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

წითელი არმია იცავს მუშების და გლეხების ინტერესებს. ის შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან, მისი მეთაური ც მუშა და გლეხი უნდა იყვეს.

ახალი მიღება სამხედრო სკოლაში.

უფროსთა შემადგენლობის შეერთებულმა სკოლამ ამ დღეებში გამოუშვა წითელი მეთაურები. ეს გამოშვება იყო ნორმალური. სკოლაში კურსანტებმა დაჰყვეს იმდენი დრო, რამდენიც წესდების ძალით უნდა დაეყოთ. წინა გამოშვება კი დაჩქარებული გამოშვება იყო.

ჩვენ არა გვყავს საკმაოდ წითელი მეთაურები და ამ გარემოებამ გვაიძულა წინანდელ გამოშვებაზე.

დღეს საქმე ასე თუ ისე მოგვარებულია.

წითელ მეთაურთა ახალი ჯგუფები მიემატა ჩვენს ნორჩ ჯარს.

ეს შემდეგისათვის გვაადვილებს და გვიუმჯობესებს მდგომარეობას.

კურს დამთავრებულთა სამაგიეროთ საჭიროა ახალი ამხანაგების გადაგზავნა.

ასეთ ამხანაგებს, თავის-თავად ცხადია, გადმოგზავნის პროფესიონალური საბჭოები და პარტიული ორგანიზაციები.

მაგრამ თავი და თავი ჩვენზე, წითელ ჯარზედ არის დამოკიდებული.

წითელი ჯარის ყველა ნაწილები ვალდებულია სამხედრო სკოლას მისცეს მოწინავე წითელ-არმიელები.

ეხლანდელი სკოლა ძველი სკოლა არ არის.

მართალია ძველ სკოლაში ასწავლიდენ სამხედრო მეცნიერებას, მაგრამ დიდ უმეტეს დროს პრანჭვაგრეხაში ატარებდენ. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მაშინდელი იუნკრები ხომ დღევანდელი კურსანტები არ იყვენ.

მაშინ გლეხის შვილი ჯერ არ წავიდოდა სამხედრო სკოლაში და თუ წავიდოდა ან არ მიიღებდენ ან თუ მიიღებდენ ისიც იმ უსაქმოებს შეუერთდებოდა, რომლებიც იქ იყვენ თავმოყრილნი.

მაშინდელი სკოლა სავსე იყო თავადების, აზნაურების, გენერლების და პოლკოვნიკების შვილებით.

მთელი ყურადღება ექცეოდა უბრალო ფახი-ფუხობას. მაშინდელი ოფიცრობის დიდი უმეტესობა კიდევაც მიტომ გამოდიოდა კუდაბზიკა ხალხი.

არავის კადრულობდენ, ჩხუბობდენ, აჩხლობდენ; მთელი დღე და ღამე კაფე-შანტანებში ატარებდენ; წამ და უწუმ იარაღზე ეკიდათ ხელი. პატიოსანი მათ რიგებში არ რჩებოდა. რუსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ბევრი არის ნაოფიცრალი ხალხი. ისინი გაურბოდენ სამხედრო პირთა საზარელ ცხოვრებას.

მაშინდელ სამხედრო სკოლაში დიდ უმეტეს დროს ანდომებდენ იმის შესწავლას, თუ ვისთვის უნდა ხელზედ ეკოცნათ და ვისთვის ტუჩებში; ვისთვის უნდა მიერთმიათ სასტუმრო ბარათი და ვისთვის სამსახურის.

დღეს წუთისოფელი შეიცვალა.

ხელისუფლება მუშისა და ღარიბი გლეხის ხელშია. ამ ხელისუფლების დადგენილებით სამხედრო სკოლაში თავადი და აზნაური ვერ გაიპაპანებს, იქ მხოლოდ მუშა და გლეხი უნდა იყოს.

რატომ?

იმიტომ რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლებას თვით მუშა და გლეხი დაიცავს. თავადი და აზნაური ჩვენ არ გამოგვადგება.

მაგრამ ამ მუშების და გლეხების არჩევის დროსაც ჩვენ ერთნაირი ანგარიში გვმართებს. სკოლა მეთაურს იძლევა და მეთაურობა ყველას არ ძალუძს.

მეორე მხრივ სკოლაში წასვლას მეტი ფასი უნდა დაედვას.

ეს მოითხოვს ნაწილებიდან პირველი ამხანაგების წარგზავნას.

რასაკვირველია, იქნებიან ნაწილებში მსურველი ამხანაგები, რომლებიც ცოტათი მოიკოჭლებენ.

ასეთ ამხანაგებს აუცილებლად ყურადღება მიექცესთ და შემდეგი წასვლისათვის იქმნენ ყოველ მხრივ მომზადებულნი.

დღეს კი უნდა არჩეულ იქნან საუცხოვო წითელ-არმიელები.

ვინც კარგს მისცემს—კარგს მიიღებს.

ეს უნდა გაითვალისწინოს ყველა ნაწილმა.

რადიო-დეპეშები.

ბრძოლა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების სასარგებლოდ.

გაზეთ „დეილი ნიუზის“ განცხადებით ლიბერალების ლიდერებში სრული თანხმობაა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების საკითხში. გაზეთი ამბობს, რომ ლიბერალები პირდაპირ იმიჯნებიან იმ პირთაგან, რომლებიც ამახინჯებენ საქმის ნამდვილ სახეს და ცდილობენ წაჰკიდონ ინგლისი საბჭოთა კავშირსო.

ლიბერალურ მოღვაწეების საანკეტო პასუხებში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება სასურველია, მაგრამ ერთი რამ იწვევს მათ მხრივ წინააღმდეგობას, სახელდობრ მოქალაქეების დაბეგვრა საბჭოთა კავშირზე სესხის მიცემის მიზნით იმ დროს, როდესაც არ არის სათანადო გარანტიები, რომ საბჭოთა კავშირი გადაიხდის თავის ვალებს.

ყოფილი მინისტრი ლიბერალი აკლენი თავის პასუხში აცხადებს: „მე მომხრე ვარ ხელშეკრულების დადებისა საბჭოთა კავშირის დღევანდელ მთავრობასთან სამწუხარო იქნებოდა ხელშეკრულების ჩაშლაო.

მუშათა პარტიის ერთმა გამოჩენილმა ბელადმა მანჩესტერში განაცხადა, რომ სესხის საწინააღმდეგო კამპანია ნაკარნახევია პოლიტიკურ მოსაზრებით და კლასიური სიძულვილით მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგო, თუ ინგლისი საკმაო თანხას აძლევს ავსტრიასა და გერმანიას, იმ შემთხვევაში მან უნდა მისცეს სესხი საბჭოთა კავშირსაცო.

საუბარი ამხ. ტომსკთან.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ.

ამხ. ტომსკიმ, რომელიც დაბრუნდა ინგლისში მომხდარ პროფკავშირთა კონგრესიდან, ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ განაცხადა:

„კონგრესის დამოკიდებულება ხელშეკრულებასთან მეტად იმედიანი იყო. პროფკავშირებმა დაადგინეს ჩაატარონ სამთვიანი კამპანია. მთელ ინგლისში წარმოებულ იქნება მუშათა მიტინგები ხელშეკრულების სასარგებლოდ.

პროფკავშირთა ლიდერების განცხადებით მაკდონალდი არ დაიხევს უკან ამ საკითხში, თუნდაც რომ საჭირო გახდეს პარლამენტის დაშლა და ახალი არჩევნების დანიშვნა.

რუსეთის პროფმოძრაობამ გაარღვია მის მიმართ მტრულად განწყობილ ძალების ფრონტი.

ჩვენს მოწინააღმდეგეთა რიგებში შემჩნეულია დაბნეულობა. ისინი გრძნობენ, რომ მოვიდნენ ახალი ადამიანები, ახალი სიტყვებით, რომლებიც ამბობენ იმას, რის თქმაც დღემდისაც ვერ შესძლეს დასავლეთ სახელმწიფოებში“.

„ტაიმსი“-ს წერილი

ინგლის საბჭოთა ხელშეკრულებაზე.

გაზეთი „ტაიმსი“ სწერს: „ლიბერალთა დამოკიდებულება ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებასთან

ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს.

პოლონეთი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ქვეყანაა. იგი მდებარეობს რუსეთსა და გერმანიის შორის.

მცხოვრებთა რიცხვი ჭრელია. ვინ არ გინდა იქ არ ცხოვრობდეს: პოლონელი, ებრაელი, უკრაინელი, ბელორუსი, ლიტოველი და სხვა.

პოლონეთი ძველად რუსეთის იმპერიის ნაწილს შეადგენდა. 1917 წ. რევოლიუციის შემდეგ იქაური მემამულეების (პანების) მეოხეობით ჩამოცილდა რევოლიუციონურ რუსეთს; იქ დღეს მართვა-გამგეობა მემამულეების ხელშია.

ეს მემამულეები პოლონელებია. დანარჩენი ერის წარმომადგენლები განიცდიან პოლონელ პანების მძიმე უღელს.

ამ აუტანელმა კაციჭამიობამ აიძულა სწორეთ სხვა და სხვა ერების წარმომადგენლები და ამიტომ დახმარებისათვის ერთა ლიგას მიმართეს.

ჩვენ ვიცით ვინ შედის ერთა ლიგაში.

იქ მთელი ძალა-უფლება ხელში აქვთ საფრანგეთს, ინგლის, იტალიას და სხვა ამისთანა ვერაგებს.

რა დახმარებას გაუწევს პოლონეთის დაჩაგრულ ერებს ამ მგლებისაგან შემდგარი ერთა ლიგა?

არაფერს, ვინაიდან ნათქვამია: **„ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“.**

და განა დასავლეთ ევროპის სალაყბოში თავმოყრილი ძაღლები პოლონეთის ძაღლის ტყავს დახევს?

სად არის გამოსავალი?

მშრომელი მასისათვის ბატონებისაგან თავის განთავისუფლების საშვალება ეს ერთად ერთია.

კომუნისტურ პარტიის ბელადმა ამხ. **ლენინმა** ეს კარგა ხანია სთქვა.

როგორც შინაურ, ისე გარეშე მყვლეფელების დამხობა შეიძლება, თუ რომ დაჩაგრული იარაღს ხელს მოკიდებს და შიგ გულში აძგერებს მას თავის დაუცხრომელ მტერს.

პოლონეთის დღევანდელი მდგომარეობა პირდაპირი შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც დღეს აწარმოებს იქაური მართველი წრე საგარეო საქმეებში. სახელდობრ პოლონეთმა ზურგი შემოაქცია რევოლიუციონურ რუსეთს. თოფითა და მახვილით ემზადება მის წინააღმდეგ; ნებას აძლევს სხვა და სხვა ბანდების მეთაურს შეადგინოს ყაჩაღების რაზმები საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. ამავე დროს ეშიკება და ეკურკურება დასავლეთ ევროპის ჭრელ კონტრრევოლიუციას.

მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ კარგა ხანია გამოაცხადა ერთა ფართე თვით გამორკვევა.

ხსნა—პოლონეთის ერების და საზოგადოთ პოლონეთის მშრომელი მასის არის საბჭოთა კავშირთან დაახლოებაში და დამეგობრებაში.

ამიტომაც მათი იარაღი მიმართული უნდა იყოს პოლონეთის პანების გულმკერდისაკენ. მეგობრული ხელი კი საბჭოთა კავშირისაკენ.

—ი.

როგორც სჩანს უფრო ფრთხილია, ვინემ ლოიდ-ჯორჯის.

გაზეთის სიტყვით ბევრი ლიბერალი დარწმუნებულია იმაში, რომ ხელშეკრულების დამტკიცების საკითხი არ გამოიწვევს კრიზის მთავრობაში.

გაზეთი ფიქრობს, რომ ლიბერალების ცდები პარლამენტში მიმართული იქნება იქეთ, რათა შეტანილ იქნას ზოგიერთ შესწორება ხელშეკრულებაში.

ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების სასარგებლოდ.

ინგლისის ხალხს მოსძულდა ლოიდ-ჯორჯის და ჩერჩილის პოლიტიკა.

ინგლისის სახალხო განათლების მინისტრმა ტრივლეინმა განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში თუ თემთა პალატამ უარჰყო ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება, ახალი არჩევნები მხოლოდ გააძლიერებს მუშათა მთავრობას.

ინგლისის ერს—სთქვა ტრივლეინმა მოსძულდა ლოიდ ჯორჯის და ჩერჩილის პოლიტიკა.

ფაშისტების ტერორი ბულგარეთში.

ალექსანდროვის მოკვლის შესახებ.

მაკედონიის ორგანიზაციის მოწოდებაში ნათქვამია, რომ მაკედონიის მოძრაობის მეთაური ალექსანდროვი მოკლულ იქნა პარტიზანების ბლახოვისა და კრეტინაროვის მიერ.

მკვლელები მიიმალნენ. მკვლელობის მომწყობნი წევრები არიან მაკედონიის ორგანიზაციისა, რომლებსაც ორგანიზაციამ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ღალატისათვის.

ალექსანდროვი მოკლულ იქნა, როცა ის ბრუნდებოდა ჯუმაეში მომხდარ მაკედონიის ორგანიზაციის თათბირიდან.

სამოქალაქო ომი ჩინეთში.

მანჯურიის სამი აღმოსავლეთ პროვინციის გენერალ-გუბერნატორი ჩჟან-ცზო-ლინი ემზადება პეკინის მთავრობაზე თავდასხმელად.

მეორე მხრივ, მარშალი უ-პე -ფუ და გენერალი ცენ-იუ-სენი მიიწევენ ჯარებით ჩრდილოეთისაკენ.

ორივე მტერი დახმარებას იღებს უცხოეთიდან, უ პეი-ფუ ინგლისელებისა და ამერიკელებისაგან, ჩჟან-ცზო-ლინი და მისი მოკავშირეები—იაპონელებისაგან.

შეტაკება ჩჟილის რაიონში.

როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს ჩჟილის პროვინციის საზღვარზე დაიწყო შეტაკებები ჩჟან-ცზოლინისა და უ პეი-ფუს ჯარებს შორის.

გერმანია.

გიტლეროვცები.

მიუნხენის პოლიციამ მოახდინა მრავალი დაპატიმრება გიტლერის ორგანიზაციის ოფიცრებს შორის.

პატიმრებს წარუდგინეს ბრალდება, როგორც არალეგალურ ორგანიზაციის წევრებს.

ბავარიის ლანდტაგი.

ბავარიის ლანდტაგის დამატებითი არჩევნების დროს სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს სამი ადგილი. მაგრამ უმეტესობა მაინც ეკუთვნის გლეხთა პარტიასა და კონსერვატორებს.

საბჭოთა ფედერაციაში

„ხელები შორს ჩინეთისაგან“.

მოსკოვის შრომის სასახლეში მოხდა საზოგადოების —„ხელები შორს ჩინეთისაგან“— კრება.

კრებამ მოისმინა ამხ. რადეკის მოხსენება საზოგადოების მიზნებისა და პრაქტიკულ ზომების შესახებ და დაადგინა: გაიგზავნოს ერთი ამხანაგი ჩინეთში საინფორმაციო ცენტრის მოსაწყობად, ეთხოვოს კომინტერნსა პროფინტერნს დახმარება გაუწიონ საზოგადოებას. განყოფილების შექმნის საქმეში ევროპისა და ამერიკის მსხვილ ცენტრებში.

თურქესტანის დამიჯნა.

თურქესტანის ალმასკომის ცაკის საგანგებო სესიამ მოიწონა შუა აზიის ნაციონალურ—სახელმწიფოებრივი დამიჯვნის პროექტი სესიამ მოწოდებით მიმართა თურქესტანისა და შუა აზიის ყველა ერებს, სადაც ნათქვამია, რომ ნაციონალური და სახელმწიფოებრივი დამიჯვნა თურქესტანისა უმაგალითო ნაბიჯია ერთა ისტორიაში. ამ ნაბიჯით მტკიცე ხდება მშვიდობიანი განწყობილება შუა-აზიის ცალკე ერებს შორის.

თურქესტანის სახელმწიფოებრივი დამიჯვნა ახალი რგოლია საბჭოთა კავშირის მიღწევათა ჯაჭვში.

მელითონეთა კავშირის ცეკას წერილი.

საბჭ. კავშირის მელითონეთა კავშირის ცეკამ მიმართა ავსტრიის მელითონეებს წერილით, რომელშიაც ნათქვამია; დიდის ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს იმ ბრძოლას, რომელსაც თვენ აწარმოებთ.

ჩვენ ვიცით. რომ საქმე მიდის არა მარტო მელითონე მუშათა პროფესიონალურ ინტერესების შესახებ. ირჩევა საკითხი ავსტრიის მთელი მუშათა მოძრაობისა.

ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნების მუშათა კლასისათვის.

გიგზავნით მხურვალე სალამს და მოკიწოდებთ განაგრძოთ მედგარი ბრძოლა გამარჯვებამდი.

„ბესარაბიელთა საზოგადოება“.

საკავშირო სახკომსაბჭომ დაამტკიცა „ბესარაბიელთა საზოგადოების“ წესდება, რომელიც შეტანილი იყო გადმოხვეწილთა ბიუროს მიერ.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში.

მოთხოვნილება ჩვენს ნავთზე.

ნავთის სინდიკატის ახლო-აღმოსავლეთის კანტორამ უკანასკნელ ხანებში გააგზავნა საზღვარ გარედ 2.829.156 ფუთი ნავთის ნაწარმოები. მოთხოვნილება ჩვენს ნავთზე თან და თან იზრდება უცხოეთში.

ლონდონის ნავთის სინდიკატის აგენტმა რამოდენიმე ხელშეკრულება დასდო ნავთის პროდუქტების მიწოდების შესახებ.

განსაკუთრებით საყურადღებოა, „სტანდარტ ოილთან“ დადებული ხელშეკრულება 75.000 ტონა ნავთის მიწოდების შესახებ ერთი წლის განმავლობაში.

„სტანდარტ ოილი“ ჰყიდდა ახლო-აღმოსავლეთში ამ დრომდის ამერიკის ნავთის ნაწარმოებს.

დადებულია აგრეთვე ხელშეკრულება სხვა უცხოეთის ფირმებთან 16.000 ტონა ნავთის დამზადებისა და მიწოდების შესახებ.

რადიო ყოველ მხრიდან

მუსოლინის დარიგება.

მუსოლინი წერილს უგზავნის ფაშისტური პარტიის დირექტორიას, რომელშიც ის ეხება კაზარინის მოკვლის ამბავს და ურჩევს „თავი შეიკავოს სრულიად იტალიის ყრილობის მოწვევისაგან“, რომელიც დანიშნული იყო 21 სექტემბრისთვის. ის ურჩევს, რომ დაკმაყოფილდენ მხოლოდ ადგილობრივი ყრილობებით და ამით აღნიშნოს წლის თავი ფაშისტების გალაშქრებისა რომზე.

საფრანგეთი და ამერიკა

ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობით სტატს-სეკრეტარ მილონი წინააღმდეგ წავიდა საფრანგეთის ვალის საკითხის მოგვარებისა დოუესის გეგმის საბოლოოდ გატარებამდის.

ბრაზილიაში.

სამხრეთ ბრაზილიაში იფეთქა ახალმა აჯანყებამ. აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი გუაიაოსი მდინარე პორანზე. ფედერალურ ჯარებიდან გადარჩა მხოლოდ რაზმის უფროსი და 14 ჯარის კაცი, რომლებიც გადავიდნენ არგენტინის საზღვარზე.

იუნგის ოპტიმიზმი.

ოუენ იუნგმა (გენერალური აგენტი სარეპარაციო საკითხში.) დაწვრილებითი მოხსენება გაუკეთა სარეპარაციო კომისიას თავის მოქმედებაზე დოუესის გეგმის გატარების საქმეში. იუნგი იმედს გამოსთქვამს გერმანიის სესხის განაწილების შესახებ.

უფროსთა შემადგენლობა და პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა.

უფროსთა შემადგენლობის პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელ დარგში მიზიდვას და ჩათრევას ნაწილის ფართე მასიურ მუშაობაში, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს საკითხი არა ერთხელ დასმულა ჩვენი ჯარის ცხოვრებაში და არა ერთ დაინტერესებულ პირს გამოუთქვამს თავის აზრი, როგორც სიტყვიერად, ისე სხვა და სხვა პერიოდულ და არა პერიოდულ გამოცემებში ამის შესახებ. საკითხს მუდამ ქონდა მიქცეული სერიოზული ყურადღება და მისი სათანადოთ მოგვარება და ცხოვრებაში გატარება ყოველთვის მიგვაჩნდა ერთად ერთ საჭირბოროტო საკითხად.

მეთაური, სამხედრო დარგში აღმზრდელი და ამავე დროს წითელ არმიელთა ფართე მასის პოლიტიკურად და კულტურულად გამათვითცნობიერებელი და გამწვრთნელი—აი ჩვენი ძირითადი და უახლოესი ამოცანათაგანი, რომლის შესასრულებლად, თუ დღემდის არა, აწი მაინც უნდა გადავდგათ შესაფერისი ნაბიჯები.

როგორ იყო დღემდის მოგვარებული ეს საკითხი?

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენს ნაწილებში წარმოებულ პოლიტ-განმანათლებელ მუშაობას, დავინახავთ, რომ მასში მონაწილეობას ღებულობს მეთაურთა შემადგენლობის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი, რომელზედაც თითქმის ლაპარაკიც არ ღირს. რაშია საქმე? ნუ თუ ეპატიება მეთაურს განზე გადგეს წითელ არმიელების კულტურულად ამაღლების საქმეში?

იყო დრო, როდესაც ჯარის კაცის ცოდნას, შეგნებას და განვითარებას ყოველ საშუალებით გზას უბორკავდენ. რისთვის?

იმისათვის, რომ გაუნათლებელ ჯარის კაცს არ შეეგნო, თვალები არ აეხილა და არ გადაქცეულიყო არსებულ რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალათ.

ვინ უწყობდა ხელს მაშინდელ ხელისუფლებას ამ „დიად“ საქმეში? ოფიცრობა, სამღვდელოება, რომლებიც პირნათლად ასრულებდენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

განა ასე სდგას წითელ არმიაში საკითხი? ათასჯერ არა, და ეს ყველასათვის ნათელია და განსაკუთრებით კი იმათთვის, ვისაც დაუნახავს ჩვენი ჯარის ერთეულებში „ლენინის კუთხეები“, ბიბ-სამკითხველოები, სკოლები, კლუბები, კინო და სხვა და სხვა.

ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა თვითეულმა წითელმა არმიელმა, რაც შეიძლება მეტი შეიგნოს, მეტი შეითვისოს, გახდეს კულტუროსანი მოქალაქე და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად აყვავებას.

წითელი არმიელი, რომელიც გულმოდგინეთ სწავლობს თოფის სროლას, უნდა იცოდეს, თუ ვის უნდა მოხვდეს მისგან გასროლილი ტყვია.

აშკარაა, ჩვენ მას ვასწავლით, თუ როგორ უნდა იბრძოლოს და ვის წინააღმდეგ. ეს უკვე დაამტკიცა მან უკანასკნელ ხანებში საქართველოში ბანდიტების წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ მარტო ეს არ კმარა, საჭიროა კიდევ მეტი ცოდნა, მეტი შეგნება, მეტი გათვითცნობიერება, რათა მუშათა და გლეხთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი სრულიად განადგურდენ, როგორც ფიზიკურად, ისე განსაკუთრებით იდეურად.

როდის მივაღწევთ ამას? როდესაც თვითეული მუშა და გლეხი გახდება უაღრესად კულტუროსანი მოქალაქე.

რა არის ამისათვის საჭირო? ყოველ თავისუფალ წუთში და საათში დაუზოგველ ენერგიით მუშაობა, მეტი ცოდნის შეძენა, რომ ამით მეტი გადავცეთ ამხ. წითელ არმიელებს. როდის მოხდება ეს? როდესაც თითეული მეთაური პარტიული იქნება ის თუ უპარტიო ხელი ხელ-ჩაკიდებული იმუშავებს მის გვერდში მდგომ პოლიტიკურ მომუშავესთან და ამით თავის წვლილს შეიტანს უცოდინარ წითელ არმიელის გათვითცნობიერების საქმეში.

როგორც ზევით ავღნიშნე ჩვენი მეთაურთა შემადგენლობის უმეტესი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევს პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის საქმეს. ეს იმისთვის, რომ ის ან სრულიად არა სავალდებულოა ან წარმოადგენს მეორე და მესამე ხარისხოვან საქმეს, როდესაც ჩვენი მთელი გულისყური აქეთკენაა მიმართული.

ეს წითელ არმიის რიგებში დაუშვებელია.

ამისათვის საჭიროა იმ მეთაურთა შემადგენლობამ, რომლებიც ცოტათ თუ ბევრად პასიურად ეპყრობა ამ დიად ჩაქმეს, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნოს, დარწმუნდეს, რომ მისი მოვალეობა არ გამოიხატება მარტო სამხედრო ცოდნის გადაცემაში, რომ მას სამხედრო სპეცობასთან ერთად საჭიროა პოლიტიკურ და კულტურულ დარგში სპეცობაც, რათა წითელ არმიელს გულში ჩაუნერგოს კომუნისტური იდეა და კომუნისტური თავდადება—კომუნიზმის განხორციელებისათვის. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ნაწილის პასუხისმგებელ ამხანაგებმა .და შესაფერი ზომების მიღებით მოაგვარონ პოლიტიკურ და კულტურულ განმანათლებელ მუშაობაში მეთაურთა შემადგეილობის ჩაბმა.

ს. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარი

როგორ მოქმედებენ ჩვენი ჯარის ნაწილები.

ახალქალაქის პარტკომისა და აღმასკომის მისალმება მესამე ლეგიონისადმი.

მესამე ტერ-ლეგიონს.

ახალქალაქის აღმასკომი და პარტკომი მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, მშრომელი ხალხის ნორჩს, მაგრამ ძლიერ შვილებს იმ თავდადებულ ბრძოლისთვის, რომელიც თქვენ გასწიეთ მენშევიკებისა და თავად-აზნაურების მიერ მოწყობილ კონტრრევოლიუციონურ-ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ.

თქვენმა მოქმედებამ და სიფხიზლემ მაზრაში აღნიშნული ბანდიტური გამოსვლების ლიკვიდაციის საქმეში აშკარად დაანახვა ყველას, თუ რა შესძლებია მშრომელი ხალხის შვილებისაგან შემდგარ ქართულ წითელ ლაშქარს.

ვაშა და დიდება თქვენს უფროს ამხანაგს წითელ კომანდირ **კობიძეს**, რომლის ენერგიულმა მუშაობამ ძლევა მოსილებით შემოსა მესამე ლეგიონი და ვაშა ლეგიონის მთელ შემადგენლობას.

ამხანაგებო, იდექით ფხიზლად რევოლიუციის სადარაჯოზე!

მედგრად და გაბედულად მტრების წინააღმდეგ!

გახსოვდეთ, რომ ახალქალაქის კომუნარები მუდამ თქვენთან ვართ. მზადა ვართ შევსწიროთ თავი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დაცვას.

ახალქალაქის რაიკომის მდივანი: **ე. სიამაშვილი.**

აღმასკომის თავმჯდომარე: **კალაზარაშვილი.**

თენგიზ ჟღენტის მოხსენება პირველ ლეგიონში.

მენშევიკების ავანტიურისტულმა გამოსვლამ ძლიერ ააღელვა პირველი ლეგიონის მთელი შემადგენლობა. ყველა მზად იყო ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ საბრძოლველად. მრავალმა ორატორებმა გააკეთეს მოხსენებები გამოსვლების სისაძაგლის შესახებ, მაგრამ ამხ. თენგიზ ჟღენტის მოხსენებამ სრულიად გამოააშკარავა ამ თავზე ხელაღებულ ხალხის უბადრუკი საქციელი.

მენშევიკების ოინებიდან უბრალო წვრილმანი მოვლენებიც არ გამორჩენია ამხანაგს. მან ყველასათვის თვალსაჩინოთ გახადა მათი მოქმედება და მიზანი.

ამხ. თენგიზს თან წამოეღო მენშევიკების არალეგალური ფურცლები, რომლებიც საშინელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა და გაანიორწყალა.

უნდა გეყურებიათ როგორი ყურადღებით უსმენდენ ამხანაგს ჩვენი მოლაშქრეები. მოხსენებამ მრავალი შეკითხვები გამოიწვია, რომლებსაც სათანადო პასუხი გაეცა ამხანაგის მიერ.

ამავე თემაზე შემდეგი სიტყვით გამოვიდა ამხ. სიხარულიძე. მანაც აუარება ცნობები მოგვაწოდა მენშევიკური გამოსვლების სისაძაგლის შესახებ.

ლეგიონის გაერთიანებულმა კრებამ ზიზღი გამოუცხადა მენშევიკების საზღვარგარეთელ ბელადებს, რომელთა დირექტივების თანახმად მოწყობილი იქნა ეს საცოდავი გამოსვლები და გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

გ. ბუაჩიძე.

მენშევიკური ბანდების ოინბაზობა ვანის რაიონში.

(ქუთაისის მაზრა).

ვანის რაიონი ძლიერ მდიდარია ჯერ კიდევ გაუსწორებელ თავად—აზნაურებით და სოფლის კულაკებით.

აქაური თავად—აზნაურობა შეურიგებელი მტერია საბჭოთა ხელისუფლების.

იშოვეს დრო. მოაწყვეს მშრომელი ხალხის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა.

მაშ ასე ადვილი საქმეა ძველი დიდების დაკარგვა?

დაჰკრეს ბუკი და ნაღარა! მაგრამ ვაი, რომ უშედეგოთ ჩაუარათ ცდებმა და ნიანგის ცრემლებით ატირდენ უდღეური გმირები.

თავს დაგვესხნენ. მოგვიკლეს ორი ამხანაგი.

28 აგვისტოს, ღამის თერთმეტ საათზე, ბანდიტ ადეიშვილის მეთაურობით ქურდულად დაეცენ დ. ვანს და სწორედ იმ დროს, როდესაც დაწესებულებებში მორიგეების და დარაჯების მეტი არავინ იყო.

აბა რას გააწყობდა ათი კაცი ორასი ბანდიტის წინააღმდეგ?

უმნიშვნელო შეტაკების შემდეგ ბანდიტებმა ხელთ იგდეს ყველა დაწესებულებები და სროლის დროს ბანდიტ ადეიშვილმა სიცოცხლეს გამოასალმა ვანის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოლუაშვილი.

პარტკომის პასუხისმგებელმა მდივანმა მოასწრო გაქცევა, მაგრამ დაედევნენ და ეს ამხანაგიც ვერაგულად მოჰკლეს.

სამი დღის ბატონობა.

სამი დღის განმავლობაში დათარეშობდენ ბანდიტები ვანის რაიონში. სიხარულით ცას სწვდებოდენ ადგილობრივი თავად—აზნაურობა, მღვდლები, ნიკოლოზის დროის ოფიცრობა და ვაჭრუკანები.

დახიეს და გადაყარეს კომუნისტური წითელი დროშები, ნაცვლად სამფეროვანი ააფრიალეს.

მშრომელი გლეხობა არ აჰყოლია მათ ოინბაზობას. ...ალლუმი ალლუმზე იმართებოდა... მღეროდენ დიდებას.

ავრცელებდენ ათას გვარ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესახებ.

მაგრამ სასაცილო ის იყო, რომ მათი საქციელის მამლაყინწობაში თვითონ არ იყვენ დარწმუნებული, ყოველ წუთს ეშინოდათ, ფეთავდენ...

აუსრულდათ წინაგრძნობა. საბრალოები დამარცხდენ და ისე მწარედ რომ ერჩად სრულიად არ დაენახათ დღის სინათლე.

მათ უკანასკნელად კიდევ სცადეს თავისი წარსული დიდების აღდგენა, მაგრამ ადგილობრივმა მშრომელებმა და წითელმა ლაშქარმა მათ ბოლო მოუღო.

მოგვეშველნენ 2-რე დივიზიის ნაწილები.

პირველ სექტემბერს ბანდიტებს შეუტია მეორე დივიზიის ნაწილებმა და განსაკუთრებით კურსანტებმა. ნაშუადღევის 3 საათისათვის უკვე გაიწმინდა ვანის რაიონი ბანდიტებისაგან.

ბანდიტთა მეთაური ადეიშვილი გაიხიზნა ტყეში და თან წაიყვანეს შემთხვევით ტყვეთ ჩავარდნილი ამხ. ამხ. რუბენი, ვანო სტურუა, ილია ჩეჩელაშვილი და ადგილობრივი ამხ. ვაშაყმაძე.

დამარცხებულები პატიებას ითხოვენ.

ასე უშედეგოთ დამარცხდა ბანდიტების ოინბაზობა. მათ გაუცრუვდათ ყოველგვარი იმედები დახმარების მიღებაში. აღარ მოვიდა ბათომიდან ჟორდანია ჯარებით. ვერ ჩამოაგდეს საბჭოთა მთავრობა. ადეიშვილი იძულებული შეიქნა ერჩია თავის რაზმელებისათვის თავისი ნებით გამოცხადებულიყვნენ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, ჩაებარებიათ იარაღი და ეთხოვათ პატიება. მაგრამ ამანაც არ უშველათ მტარვალებს მათ სათანადო პასუხი გაეცათ მშრომელი მასების მიერ.

დ. ვანის მშრომელების ხმა.

5 სექტემბერს, როდესაც სრულიად გაწმენდილი იქნა რაიონი ბანდიტებისაგან მოვიწვიეთ ვანის მშრომელი გლეხობის მიტინგი. მიტინგს დაესწრო აუარება ხალხი.

სიტყვებით გამოვიდენ წითელ ლაშქრის უფ-პოლიტ შემადგენლობა და მოუწოდებდენ ხალხს კვლავ მშვიდობიანურ ცხოვრებისაკენ.

მიტინგმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიდაც მადლობას უცხადებენ საბჭოთა ხელისუფლებას და ზიზღს უთვლიან ყაჩაღ მენშევიკებს და მათ დამქაშებს უპასუხისმგებლო ავანტიურისტულ გამოსვლებისათვის.

ლევი.

ახალი კურსანტების მიღება.

ქართულ მეთაურთა სკოლაში ამ ჟამათ სწარმოებს ახალ კურსანტების მიღება. ახლავე საჭიროა მიღებულ კურსანტების ყოველმხრივი გადასინჯვა და დაფასება, თუ რამდენათ გამოსადეგი იქნება წითელ მეთაურათ, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოიპარება არა სასურველი ელემენტები, რომელნიც მავნებლობის მეტს, არას მოუტანს წითელ ჯარს.

ვინ მიიღება სკოლაში.

ქართულ მეთაურთა სკოლამ გამოუშვა ახალი მეთაურები რიცხვით 134 კაცი, რომლებიც სიცოცხლით და ხალისით მოეფინებიან ქართული წითელი არმიის რიგებს.

იმათ აქვთ მომზადება და უნარიც შესწევთ ახალ პრინციპებზე მეცადინეობისა, რომელიც ძველ მეთაურებს არ შეუძლიათ და ვერც შესძლებენ. დღეს საჭიროა კვლავ შეივსოს სკოლა ახალი კურსანტებით, რომლებიც დაამთავრებენ მას და მისცემენ ქართულ წითელ არმიას ახალ კადრს წითელ კომანდირებისას.

წითელი სამხედრო სკოლა, ის არ არის „კადეტთა ან იუნკერთა“ სასწავლებელი, რომელიც განყენებულად სამხედრო საგნების იქით ვერ ხედავს ვერაფერს, ის სამჭედლოა, სადაც იჭედება კურსანტის არა მარტო სამხედრო მომზადება, არამედ მისი რევოლიუციონური სიმტკიცე, ნებისყოფა და შეგნება. ამ სკოლას აქვს დღის წესრიგში დასმული არა მარტო სამხედრო ხელოვნება, არა მარტო პოლიტიკურ-სოციალური (მარქსისტული თვალსაზრისით) მეცნიერების შესწავლა, არამედ მათი ჰარმონიული შეგუება და შეთანხმება, სიდგანაც შეიძლება მიღება ცოდნისა, რომელიც გამოსადეგია მუშისა და გლეხისათვის, როგორც გამათავისუფლებისა, ისე საამშენებლო მუშაობაში.

სკოლა ამზადებს ისეთ ახალგაზრდებს, რომლებიც დაინტერესებულია მშრომელთა კეთილ დღეობით. ყველასათვის უდავოა, რომ მუშათა და გლეხთა კეთილ დღეობის სადარაჯოზე მხოლოდ მუშა და გლეხი სდგას. აქედან ცხადია სკოლაში უნდა მივიღოთ მშრომელი ახალგაზრდობა, რომელიც დაინტერესებულია თავისი კლასის გამარჯვებით. სკოლაში არ მიიღება თავადების, აზნაურების, მღვდლების და გვარდიელების შვილები, რომლებიც ვერ ურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, რადგან ამ უკანასკნელმა მემამულეს ჩამოართვა მიწა, მღვდელს მოუსპო ჯვარითა და საცეცხლურით ხალხის ყვლეფის უფლება და გვარდიელებს გამოსტაცა ხელიდან ის დრო, როდესაც ცა ქუდათ მიაჩნდათ და მიწა ქალამნათ. საქართველოს მშრომელმა ხალხმა დაინახა რა სურს საქართველოს ზნეობრივად გაკოტრებულ თავად-აზნაურობას. მას უნდა კვლავ დაიბრუნოს თავისი ადგილ-მამულები და მიმინოს ხელზე ნავარდით მიეცეს ლუარსაბ თათქარიძისებურ ფუფუნებას. დიახ, ასეთებს საბჭოთა ხელისუფლება სდევნის, ასეთებს სამხედრო სასწავლებლები არ მიიღებენ თავიანთ რიგებში, რადგან სამხედრო სკოლა ასწავლის იარაღის ხმარებას არა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, არამედ მუშებს და გლეხებს. ჩვენი სასწავლებელი მხოლოდ მშრომელი ახალგაზრდობის სასწავლებელია და ამისათვის მოუწოდებს მას რომ მისი კარები მისთვის ღიაა და შიგ შემოსული მიიღებს იმ ცოდნას, რომელიც გაუადვილებს ისტორიის მიერ დაკისრებულ ამოცანის სისწორით გადაწყვეტას. ჩვენთვის საკმარისია მუშამ და გლეხმა იცოდეს წერა და კითხვა, ცოტა ანგარიში და ელემენტარული ცნობები სხვა და სხვა საგნებიდან, რომ მივიღოთ სკოლაში, ხოლო თავადისა და აზნაურის მიერ საკმარისი არ არის არც უმაღლესი სასწავლებელი, რადგან ეს ცოდნა საშუალებაა მისთვის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხ. მუშებო, გლეხებო და წითელ არმიელებო! სკოლა თქვენთვისაა და ნუ დაივიწყებთ თქვენ მას, იქ თქვენ შეიგნებთ კარგათ თქვენს კლასიურ ინტერესებს, იქ თქვენ აღიჭურვებით სათანადო ცოდნით.

სამხედრო ნაწილების მოვალეობას შეადგენს კარგად გადასინჯონ წითელ არმიელთა რიგები და გადმოგზავნონ ისეთები, რომლებიც დააკმაყოფილებენ სკოლის ყოველგვარ მოთხოვნილებას. ასეთსავე ვალებს ქართული სამხედრო სკოლა ყველა იმ ორგანოებს, რომლებიც გამოგზავნიან ახალგაზრდობას სასწავლათ. ყველას მოაგონებს, რომ სკოლამ უნდა მიიღოს 100 პროც. მუშები და გლეხები, ამისათვის საჭიროა ახალგაზრდობას, რომელიც მოდის სკოლაში კარგათ გაუსინჯოთ კბილები და მივიღოთ მხოლოდ ისეთები, რომლებიც მუშათა კლასს გამოადგება და მის ინტერესებს დაიცავს უკანასკნელ, სისხლის წვეთამდე.

კოწია სერელი.

ამ მიღების ჩატარებაში სკოლაში, სადი და საიმედო კურსანტების მიღებაში, რომელნიც გამოსულნი იქნებიან მუშათა და გლეხთა წრიდან, მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს კომუნისტურმა პარტიამ და ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირმა, თავის რიგებიდან პარტიულ ამხანაგების გადმოგზავნით ჩვენს სკოლაში. ჩვენ, სკოლაში მყოფი კურსანტები ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ ახალ კურსანტებს მივაწოდოთ ის ცოდნა, რომელიც ჩვენ გვაქვს მიღებული. შევასწავლოთ სამხედრო დისციპლინა და სხვა. რომ შეერთებული ძალით დავეწაფოთ სწავლას, სამხედრო ხელოვნებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დაძაბილისთანავე ამ ცოდნით და გამოცდილებით ვეკვეთოთ ჩვენ დაუძინებელ მტრებს.

ჩვენი რიგების უფრო გასამჭიდროებლად ვიწვევთ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს, შემოვიდნენ ჩვენ სკოლაში, რომ მივიღოთ ცოდნა და გამოცდილება, რათა გამოვიდეთ წითელი მოლაშქრობის ღირსეული აღმზრდელნი.

კურსანტი: **ნ. არჩუაშვილი.**

სამაგალითო ამხანაგი.

ქართულ პირველ დივიზიის ცალკე მესანგრე ასეულში სამი თვით მოვლენილი იყო ცენტრალურ პარტიულ სკოლის მსმენელი ამხ. ვარლამ გოგისვანიძე. მას უნდა ეწარმოებია პოლიტ-მეცადინეობა წითელ არმიელებში.

უნდა ითქვას, რომ ამხანაგ გოგისვანიძემ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა ჩვენს ასეულში.

მან იშვიათი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა წითელ არმიელებში.

მრავალგვარი იყო მისი მუშაობა.

ის აწარმოებდა პოლიტ-საუბრებს, ხელმძღვანელობდა ლენინიზმის წრეს, რომელმაც ღირსეულად შეასრულა თავისი დანიშნულება.

ამხ. გოგისვანიძე ჩაბმული იყო აგრეთვე კულტურულ მუშაობაში

და აქაც თავისი შრომით დაიმსახურა წითელ არმიელებისაგან დიდი სიყვარული.

ამ ჟამად ამხანაგი მოგვცილდა და გაემართა პარტსკოლაში თავისი სწავლის გასაგრძელებლად.

ჩვენ მესანგრე ასეულის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უძღვნით ჩვენთან ასეთი ენერგიული მუშაობისათვის და ვუსურვებთ მომავალში კიდევ უფრო მეტ ენერგიას და მხნეობას წითელი ჯარის პოლიტიკურ და კულტურულ განვითარების საქმეში.

ჩვენი მხრივ აღუთქვამთ ამხანაგს, რომ მისგან შეძენილი ცოდნა ფართედ იქნება გამოყენებული ჩვენ შიერ.

ასეულის შემადგენლობის დავალებით **ვ. ნუცუბიძე.**

მეცნიერება და ტექნიკა

უდიდესი საჰაერო გემი.

გერმანიის ერთ-ერთ ქალაქ ფრიდრიხსგაფენში დამზადებული ZR3 სისტემის ცეპელინი უდიდეს საჰაერო გემათ უნდა ჩაითვალოს. ჯერ არც ერთ სახელმწიფოში არ დაუმზადებიათ ასეთი უზარმაზარი რამ.

ცეპელინი ZR3 დაამზადეს სპეციალურად გერმანიასა და ამერიკას შორის საჰაერო რეისზე მიმოსვლისათვის.

ცეპელინის სიგრძე უდრის 656 ფუტს და სიგანე კი 90,66 ფუტს. ვერტიკალური დიამეტრი—ანუ სიმაღლე კი 101,66 ფუტს.

ცეპელინი თავის მოყვანილობით ძლიერ წააგავს ინგლისურ სიგარას.

მისი წყალბადის შემცველობა უდრის 9.472.000 კუბიკურ ფუტს. წყალბადის ასეთი რაოდენობა შესაძლებელს ხდის, რომ ცეპელინმა აიტანოს ჰაერში 5.500 ფუთი სიმძიმე.

ეს უზარმაზარი ჰაერის გიგანტი მოძრაობაში მოყავს ოთხ მოტორს და თითეული მათგანი იძლევა 400 ცხენის ძალას.

ცეპელინის მთელი გარსი ანუ ქერქი, როგორც ამ კონსტრუქციის ყველა ნაწილები დამზადებულია მეტად მსუბუქი ლითონის—**დურალიუმინისაგან**. ზოგიერთი უმნიშვნელო ნაწილები კი ფოლადისაგან.

ცეპელინზე მოთავსებულია მთელი რადიო სადგური და ფრენის დროს საშუალება აქვს დამოკიდებულებაში იყოს ლონდონთან, პარიზთან, ნიუ-იორკთან და რომთან. მისი რადიო სადგურის მოქმედების რადიუსი უდრის (რადიო ტელეგრაფით) 1,560 მილს, ხელით რადიოტელეფონით კი-315 მილს.

ცეპელინს აქვს ხუთი სამგზავრო ოთახი; თითეულში თავსდება ოთხი მგზავრი. ოთახები მოწყობილია დიდებულად.

გარდა ამ დასაძინებელი ოთახებისა ცეპელინზე მოთავსებულია სალონ-სასადილო, სამზარეულო, მოსამსახურეების ოთახები და სანივთე. ცეპელინის ფრენის სიჩქარე საათში უდრის 78 მილ.ს გერმანიიდან-ამერიკამდე მთელ სივრცეს ცეპელინი ფარავს 78 საათის განმავლობაში.

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

„დაცხიკვების" გამომწვევი აირი.

„დაცხიკვების" გამომწვევ ბრძოლის აირს უწოდებენ ისეთ ქიმიურ ნივთიერებას, რომელიც ჰაერთან ერთად მოხვდება თუ არა ცხვირის ნესტოებში, აღიზიანებს მის ლორწოიან გარს და იწვევს შეუკავებელ, ხანგრძლივ დაცხიკვებას და ხშირად გულის რევასაც.

ამ აირით მოწამლული ჰაერის მოქმედება ადამიანზე უფრო ძლიერია, ვინემ ქლორით და ფოსგენით. ასე, მაგალითად, ერთი ნაწილი „დაცხიკვების" გამომწვევი აირი (ქიმიაში ამ აირს უწოდებენ დი-ფენილ-ქლორ-არსინს) რომ შეურიოთ ჰაერის ათ მილიონ ნაწილს, ასეთი ჰაერი იწვევს შეუკავებელ დაცხიკვებას, ცხვირის, ყელის და ფილტვების მწვავე ტკივილებს.

სამხედრო ტეხნიკის მიერ გამომუშავებულია რამოდენიმე ასეთი „დაცხიკვების" გამომწვევი აირი. ამ აირის დასამზადებლად სარგებლობენ ისეთ ნივთიერებით, რომელსაც ჩვენ ყოველ დღე ვხმარობთ თაგვების და სხვა მწერების დასახოცავად, ე. ი. დარიშხანი (მიშიაკი).

ყველა ეს „დაცხიკვების" გამომწვევი აირები სამხედრო საქმეში დიდათაა მიღებული, მაგრამ მათ შორის დაუფასებელ ბრძოლის აირად ცნობილია დი-ფენილ-ქლორ-არსინი.

„დაცხიკვების" გამომწვევი ნივთიერება დაუმუშავებლად წარმოადგენს უფერულ მაგარ საგანს.

ხმარობენ მას სხვა მხრჩოლავ აირის სითხეში შეზავებულს არტილერიის ჭურვების გასატენად.

ჭურვის აფეთქების დროს მტრის ბანაკში აირი დი-ფენილ-ქლორ-არსინი იქცევა ადამიანის თვალისთვის შეუმჩნეველ მტვრათ და სწამლავს ჰაერს.

„დაცხიკვების" გამომწვევ აირისგან თავის დასაცავად გამოგონილია რამოდენიმე საშუალება.

აირი დი—ფერილ-ქლორ-არსინ მომავალშიაც დარჩება ხმარებაში, როგორც ბრძოლის საშუალება.

მეორე „დაცხიკვების" გამომწვევ აირად ითვლება მეტილ-დი-ქლორ-არსინი.

ეს მეორე ბრძოლის საშუალება ჩვეულებრივად წარმოადგენს უფერულ სითხეს და მეტად მყრალი სუნისაა.

მეტილ-დი-ქლორ—არსინი, როგორც „დაცხიკვების" გამომწვევი აირი მეტად სუსტია, მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი საწამლავია. მასთან, საკმარისია ამ აირის სითხის მცირე ნაწილი მოხვდეს ადამიანს რომ მის სხეულზე გამოიწვიოს წყლულები, ე. ი. მეტილ-დი-ქლორ-არსინი წყლულების გამომწვევი აირი ყოფილა.

X.

უდიდესი მეტეორიტი.

ორიზონის შტატში (ამერიკა) მექსიკის საზღვრებთან ახლოს ტიალი მინდორზე ამაღლებულია უზარმაზარი ერთგვაროვანი მთა, რომელიც ძლიერ წააგავს თავისი შეხედულებით-მთვარეზე დანახულ კრატერებს.

მთა ამაღლებულია 150 ფუტის სიმაღლეზე და წვეროში აქვს კრატერი. მისი დიამეტრი უდრის დაახლოებით ერთ ვერსს, სიღრმე კი 86 საჟენს, მაშასადამე მისი ძირი 57 საჟენით უფრო ქვეშ არის ვიდრე მთის გარშემო დაბლობი ადგილები.

მთის გარშემო მრავლად მოიპოვებიან სილნარი დი რკინა ნარევი ქვები, ხოლო ეს უკანასკნელები შეიცავენ აუარება ალმასის მიკროსკოპიულ ნაწილაკებს.

ამერიკელი მეცნიერები ფიქრობენ, რომ ეს რკინა ნარევი ქვები მეტეორიტების ოჯახს ეკუთვნიან (ციდან ჩამოცვენილი არიანო).

მეცნიერებისვე აზრით მთელი ეს მთა წარმოიშვა უზარმაზარი ბოლიდის ჩამოვარდნით, რომელიც მომხდარა 5,000 წლის წინათ. გამოირკვა აგრეთვე, რომ ამ ბოლიდის მთელი მასა დაცემის დროს ჩარჭობილა მიწაში 200 საჟ. სიღრმეზე.

რევტრიბუნალი.

დამრტყმელი ექიმი.

ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის ქსენონის სანიტარს წითელ არმიელს თუთაშვილს დავალებული ჰქონდა ყოველ დილაობით მიეყვანა ცხენი უფროსი ექიმი პაშკოვისათვის, რომელიც საგრძნობლად შორს ცხოვრობდა სამსახურის ადგილიდან.

ერთხელ, ცხენი რომ მიუყვანეს პაშკოვი ჩქარა მოვიდა ნაწილში, ხოლო სანიტარმა წითელ არმიელ თუთაშვილმა კი ძალაზე დაიგვიანა.

აღელდა ექიმი. სად არის ამდენი ხანი ჩემი სანიტარიო და რადგანაც მოქ. პაშკოვი ძლიერ ფიცხი გულის კაცია ვერ მოითმინა და გავარდა სანიტარების ოთახში. გავარდა და ნახა, რომ თუთაშვილი დაბრუნებულა და აგერ ზის.

— შე ასეთო, შე ისეთო, სად იყავი ამდენ ხანს, რათ დაიგვიანე, დაიწყო აღელვებით ექიმმა.

წითელ არმიელმა აუხსნა, რომ იგი იყო ისევ იმ ექიმის საქმეზე წასული და იმიტომ დააგვიანდა. სიტყვა—სიტყვას მოყვა და ყარაჩოღულად ლაღად ჰყო ექიმმა:—მე არესტი მარესტი არ ვიცი, ისეთი ჩაგაფარო, რომ ბათუმი დაინახოო. ბათომი არავის დაუნახავს, ხოლო ექიმი კი წარსდგა სამხედრო სამსჯავროს წინაშე პასუხისაგებათ.

გარდა ამ ბრალდებისა, (სიტყვიერი შეურაცყოფა) მას აბრალებდნენ კიდევ რომ იგი იმსახურებდა თავისი პირადი საქმეებისთვის აღნიშნულ წითელ არმიელ თუთაშვილს და მიაყენა მას ფიზიკური შეურაცყოფა.

ორი უკანასკნელი ბრალდება საკმაო დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო მოეხსნა, ხოლო სიტყვიერი შეურაცყოფისათვის კი მიუსაჯეს ექვსი თვის ციხე.

ექიმი პაშკოვი თავისი საქმის კარგი მცოდნე ყოფილა და მისი საქმიანობაც ყოველთვის ნაყოფიერი იყო თურმე და აღნიშნული დანაშაული კი მიეწერება მხოლოდ ბრალდებულის სიფიცხეს და აღელვებას...

ამიტომ ექვსი თვის ციხე მას შეეცვალა ორი წლის პირობითი სასჯელი ვადით.

ახალი ამბები.

— **ღვინის და სიმინდის მოსავალი რაჭაში.** ქვემო რაჭაში ეს ერთი კვირაა უკვე დაიწყეს რთველი და სიმინდობა. ვენახის მოსავალი ძლიერ კარგია, ხოლო სიმინდისა—საშუალოზე მეტი.

— **ქალაქის აღმასკომმა** დაადგინა შემოსავლის უმთავრესი ნაწილი გადასდოს კომუნალურ, განათლების და ჯანმრთელობის განყოფილებათა განკარგულებაში.

— **უცოდინარობასთან მებრძოლი ბიურო.** უკვე მოეწყო წერა-კითხ. უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების ტფილისის ბიურო.

— **ფიზიკო-ქიმიური კაბინეთები სკოლებისათვის.** ტფილისის განათლების განყოფილებამ შეიძინა და გაანაწილა მაზრის სკოლებს შორის 37 ფიზიკური და 19 ქიმიური კაბინეთი, რაც მას დაუჯდა 30 000 მანეთი.

— **სურსათის დამზადება მაზრაში.** ახალციხის მთლიანმა კოოპერატივმა შუამდგომლობა აღძრა ცეკავშირის წინაშე მაზრაში სხვა და სხვა სურსათის დამზადების მიზნით გლეხებისათვის 79.000 მანეთის ავანსად გაცემის შესახებ.

— **თამბაქოს გაგზავნა გერმანიაში.** უახლოეს ხანში გერმანიაში იგზავნება 1000 ფუთი ლაგოდეხის თამბაქო.

— **სახელმწიფო გამოცდები ექიმთათვის.** 15 ნოემბრიდან დაიწყება სახ. უნივერსიტეტის კურს დამთავრებულ ექიმთათვის სახელმწიფო გამოცდების 1-ლი სესია.

— **ქინაქინა მუშებისათვის.** მუშათა მედიცინის სამმართველომ დაგზავნა ადგილებზე ქინაქინის საკმაო რაოდენობა.

— **სამხ. ტრიბუნალში.** დღეს გაირჩევა ცხენოს. ლეგ. წითელი მოლაშქრის გიორგი გამრეკლიძის საქმე, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა.

— **უღირსი წითელ არმიელი.** დღესვე ტრიბუნალი გაარჩევს აგრეთვე 1-ლ ლეგ. წით. არმ. გედეონ ლორთქიპანიძის საქმეს, რომელსაც ბრალდება ქურდობა, ამხანაგებისათვის სახაზინო ქონების მოპარვა და სახ. ქონების გაფლანგვა.

— **ნაქერალის გზატკეცილი.** ნაქერალის უღელტეხილზე ამჟამად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს გზატკეცილის შესაკეთებლათ. ზოგიერთ ადგილას ძველი გზის მაგიერ გაყავთ ახალი გზა.

— **საქონლის ჭირი ქვემო რაჭაში.** ქვემო რაჭაში მძვინვარე საქონლის ჭირი შეიძლება ჩაითვალოს მოსპობილათ, აღმასკომის მიერ მიღებული ზომების წყალობით.

— **დახმარება ზემო ავჭალის სადგურს.** ზემო ავჭალის ელსადგურის სასარგებლოთ, ქალ. აღმასკომმა გადაწყვიტა გადასდოს ყოველ თვიურათ 40.000 მანეთი.

შემთხვევები.

— **გვამის პოვნა.** 17 სექტემბერს მოქ. მეგრელიძემ ვერის ხიდის მახლობლათ იპოვნა უცნობი მამაკაცის გვამი.

— **მკვლელობა.** 17 სექტემბერს მალაკნების ქუჩაზე, ღამის 10 ნახ. საათზე, უცნობის მიერ რევოლვერის ტყვიით მოკლულ იქნა სამხედრო პირი, რომლის ვინაობა და მკვლელობის მიზეზებიც გამოურკვეველია.

წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად „წითელ არმიელი-"ს უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი ჩვენი წერილი:

გაზეთ „წითელ არმიელის" ა. წ. 18 სექტემბრის ნომერში მოთავსებულია მეორე ლეგიონის თანამშრომელის ი. ჯაფარიძის წერილი „საექიმო დახმარებაც ასეთი უნდა", რომლის შინაარსი სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ჯერ ერთი რომ ექიმი მეეროვიჩი არის გარნიზონის ამბულატორიის ექიმი და არა ქართულ დივიზიის ლაზარეთის, როგორც ამას წერილის ავტორი გვაუწყებს. მეორე, მისი წამალი დარიშხანი დამზადებული არის იმავე გარნიზონის ამბულატორიის აფთიაქში, რომელსაც ლაზარეთის აფთიაქთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ვსარგებლობთ შემთხვევით მივმართოთ ყველა პირველი დივიზიის წითელ არმიელთ და თანამშრომელთ თხოვნით, რათა ყველა გაუგებრობა, თუ უკანონო-საქციელი დივიზიის სანიტარულ ნაწილის დაწესებულებების თუ მოსამსახურეების შესახებ კეთილ ინებონ და გააცხადონ დივიზიის სანიტარულ ნაწილში, და თუ აქ ვერ მიიღებენ სრულ დაკმაყოფილებას, იმ შემთხვევაში მიმართონ გაზეთის ფურცელს და სხვა ინსტანციასაც. ეს ჩვენის აზრით აგვაშორებს გაუგებრობას, რომელსაც ადგილი აქვს ი. ჯაფარიძის დასახელებულ წერილში.

1-ლ ლ. დრ. დივ. ექიმი
გეგელაშვილი.
სამკომი **ლომია.**

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ი. ჯაფარიძეს. საჩქაროდ შემოიარეთ რედაქციაში.

ამხ. ხიმშელს. თქვენი ლექსი „თანამგზავრი" არ გავა.

ამხ. სკანდეს. თქვენი წერილი „მისაბაძი მაგალითიი" არ დაიბეჭდება, მოგვაწოდეთ სხვა წერილები.

ჩვენს სამხკორებს. ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ ცოტა კორესპოდენციები მოსდის რედაქციას. მოვაგონებთ ჩვენს სამხკორებს ნუ დაიზარებენ წერილების წერას და ხშირად მოგვაწოდონ ცნობები ჩვენი ნაწილების ცხოვრების შესახებ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხ-სმგებელი რედაქტორი—პ. ჩუაჩიძე